ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 24 07 2020 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №227-ს

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიების და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-8 და მე-10 მუხლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (N 1/1005; 13.07.2020) და ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა (N 1/1032; 16.07.2020) სკოლების დეკანების ლევან ჯიქიასა და ლევან ქისტაურის მოხსენებიტი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დანართი N1-ის შესაბამისად.

2. მაგისტრატურაში მიღების ადმინისტრირებისთვის ვადები განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დადგინდეს მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და

სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

<u>დანართი N1</u>

სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილები
საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის მითითებით

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა:**

საგანმანათლებლო პროგრამა	**ადგილების რაოდენობა**	**აკრედიტებული/ ავტორიზებული**	**სწავლის წლიური საფასური (ლარი)**
სამართალი	50	აკრედიტებული	2450
საჯარო მმართველობა	50		2350
საქართველოს ისტორია	25		2250
ქართული ფილოლოგია	25		

2. **ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა:**

საგანმანათლებლო პროგრამა	**ადგილების რაოდენობა**	**აკრედიტებული/ ავტორიზებული**	**სწავლის წლიური საფასური (ლარი)**
სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია	25	აკრედიტებული	2250
ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირების	20		

შენიშვნა: *გამოცხადებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ჩასარიცხ კანდიდატთა რაოდენობა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდგომ იქნება არანაკლებ 5-ის.*

დანართი N2

2020- 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების პროცესის ადმინისტრირების ვადები

1. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია – 2020 წლის **25 აგვისტო – 4 სექტემბერი;**
2. გამოცდა სპეციალობაში – 2020 წლის **5 სექტემბერი;**
3. გამოცდა უცხო ენაში - 2020 წლის **7 სექტემბერი;**
4. გამოცდის შედეგების გამოცხადება და გასაჩივრება – 2020 წლის **7 - 11 სექტემბერი;**
5. აპელაციის შედეგების გამოცხადება - 2020 წლის **11 სექტემბერი;**
6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, ხელშეკრულების გაფორმება მაგისტრანტობის კანდიდატებთან - 2020 წლის **8 - 12 სექტემბერი;**
7. ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 2020 წლის **14 სექტემბერი.**

<u>დანართი N3</u>

მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. განცხადება რექტორის სახელზე (შემოთავაზებული ფორმით);
2. ინფორმაცია საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების თაობაზე;
3. შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი, (*2020 წლის კურსდამთავრებულებისთვის დასაშვებია ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე*);
4. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო მოწმობის/სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
6. პირადობის მოწმობა (პასპორტი) – ასლი;
7. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მოწმობა (ვაჟებმა) - ასლი;
8. ფოტოსურათი (3×4) ელექტრონული ვერსიის სახით CD დისკზე (გვარისა და სახელის დისკზე მითითებით);
9. სტუდენტის სარეგისტრაციო ანკეტა (შემოთავაზებული ფორმით).